რევერსიული ფაქტორინგის გენერალური ხელშეკრულება N

ქ. თბილისი XX.XX.202--

ერთი მხრივ, სს ბანკი ქართუ (შემდგომ ამ ხელშეკრულებაში მოხსენებული როგორც „ბანკი“), წარმოდგენილი XXX მიერ, და მეორე მხრივ ---------- (საიდენტიფიკაციო ნომერი XXX, შემდგომ ამ ხელშეკრულებაში მოხსენებული როგორც „კლიენტი“), წარმოდგენილი XXX (პირადი ნომერი XXX) მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

- **რევერსიული ფაქტორინგული ოპერაციით მომსახურება** - წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ბანკის მიერ კლიენტისათვის გაწეული ფინანსური მომსახურება ფაქტორინგული გარიგების საფუძველზე, რაც გულისხმობს ბანკის მიერ კლიენტის კრედიტორისგან ფულადი მოთხოვნის ბანკის მიერ შესყიდვას კლიენტის კრედიტორისათვის ფულადი თანხის გადახდის გზით და კლიენტისთვის ფულადი მოთხოვნის დაფარვის ვადის გაგრძელებით, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- **ფულადი მოთხოვნა** – მოთხოვნა ფულადი სახსრების მიღებაზე, რომელიც წარმოიშვება/წარმოშობილია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე ან/და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კლიენტის კრედიტორის მიერ კლიენტისთვის გადახდის გადავადების პირობით საქონლის მიწოდების/ნასყიდობის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის საფუძველზე, მათ შორის კონტრაქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო/ჯარიმა.
- **ფაქტორინგის ლიმიტი** - ბანკის მიერ განსაზღვრული ყოველი კონკრეტული კლიენტის კრედიტორის მიმართ არსებული კუმულატიური ფულადი მოთხოვნის ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ბანკი ახდენს კლიენტისთვის რევერსიული ფაქტორინგული ოპერაციით მომსახურებას ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- **წინასწარი დაფინანსება** – გულისხმობს ბანკის მიერ კლიენტის კრედიტორისთვის წინასწარ გამოყოფილი ფულადი მოთხოვნის ნაწილს, რომელსაც ბანკი კლიენტის კრედიტორს გადაუხდის წინასწარ, შესაბამისი ფულადი მოთხოვნის განხორციელებამდე;
- **კონტრაქტი** - კლიენტსა და კლიენტის კრედიტორს შორის დადებული გარიგება კლიენტის კრედიტორის მიერ საქონლის მიწოდების/ნასყიდობის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის თაობაზე გადახდის განვადების პირობით.
- **ფაქტორინგის მოქმედების ვადა** - პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ბანკი განახორციელებს ფაქტორინგის მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულებით;
- **კლიენტი** – კონტრაქტის მხარე რომლის მიმართაც კლიენტის კრედიტორმა განახორციელა/განახორციელებს საქონლის მიწოდებას, სამუშაოს შესრულებას ან მომსახურების გაწევას და რომელსაც კლიენტის კრედიტორის მიმართ წარმოეშვა ფულადი მოთხოვნის გადახდის ვალდებულება.
- **კლიენტის კრედიტორი** – კონტრაქტის მხარე რომელმაც კლიენტის სასარგებლოდ განახორციელებს/განახორციელა საქონლის მიწოდებას, სამუშაოს შესრულებას ან მომსახურების გაწევას და რომელსაც წარმოეშვა ფულადი მოთხოვნა კლიენტის მიმართ. კლიენტის კრედიტორების ზუსტი ჩამონათვალი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების 3.3. პუნქტში და ბანკის მოახდენს მხოლოდ კლიენტის კრედიტორების ფულადი მოთხოვნის შეძენას.
- **ყოველი კონკრეტული ფულადი მოთხოვნის კლიენტის მიერ შესრულების მაქსიმალური ვადა** – კლიენტის მიერ თითოეული ფულადი მოთხოვნის/ვალდებულების სრულად შესრულების მაქსიმალური ვადები კონტრაქტით, რომელიც შეძენილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით, რომელსაც დაემატება ბანკის მიერ განსაზღვრული გადახდის დამატებითი ვადა (ფულადი მოთხოვნის გადახდის ვადის გაგრძელება) (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- **ფულადი მოთხოვნის გადახდის ვადის გაგრძელების საკომისიოს ოდენობა** - ბანკის მიერ კლიენტისთვის ფულადი მოთხოვნის გადახდის ვადის გაგრძელების სანაცვლოდ ბანკის მიერ დადგენილი საზღაური, რომელიც გადაიხდება კლიენტის ნებისმიერი საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრებით, და რომლის დაანგარიშებაც ხდება ბანკის მიერ კლიენტის კრედიტორისგან შეძენილი ფულადი მოთხოვნის გადაცემის სანაცვლოდ ფულადი თანხის ჩარიცხვის დღიდან ფულადი მოთხოვნის ბანკისათვის სრულად გადახდამდე.
- **გარიგება** – წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ფაქტორინგის გარიგება, რომლის საფუძველზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, ბანკის მიერ ნაწილობრივ ან მთლიანად ხორციელდება რევერსიული ფაქტორინგული ოპერაციით მომსახურება;
- **გარიგების არსებითი პირობები** - გარიგების არსებით პირობებს წარმოადგენს: კლიენტის კრედიტორის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, ფულადი მოთხოვნის თანხა რომლის შეძენასაც ახდენს ბანკი კლიენტის კრედიტორისგან, ფულადი მოთხოვნის გადახდის ვადის გაგრძელების საკომისიოს ოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ფულადი მოთხოვნის დაფარვის საბოლოო ვადა, ფულადი მოთხოვნის დათმობის შესახებ ფაქტორინგის ხელშეკრულების არსებობა.
- **საბანკო ანგარიში** – კლიენტის სს „ბანკი ქართუში“ არსებული საბანკო ანგარიშ(ებ)ი.
- **დაკავშირებული უფლებები** – კლიენტის მიერ კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მოთხოვნის (რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს მომსახურების გაწევის, სამუშაოს შესრულების და მისაწოდებელი საქონლის ყველა შესაძლო სადაზღვევო მოთხოვნასთან დაკავშირებული სარგებლის მიღების უფლებებს) ასევე, ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებული და ამ უფლებებიდან წარმოშობილი ყველა სხვა სახის უფლება.
- **ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებული დოკუმენტი** – დოკუმენტ(ებ)ი (ნებისმიერი ხელშეკრულება, მიწოდების ხელშეკრულება, ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი, დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი, და ნებისმიერი სხვა დოკუმენტი), რომლითაც დასტურდება ფულადი მოთხოვნის არსებობა და მისი მიღების უფლება და რომელიც ნათლად ადასტურებს, რომ კლიენტის კრედიტორის მიერ ყველა პირობა შესრულდა კლიენტის მიერ ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად.
- **მხარე (მხარეები)** – ბანკი ან/და კლიენტი გამომდინარე ამ ხელშეკრულების კონტექსტიდან.
- **მესამე პირი** - ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი რომელიც არ არის ამ ხელშეკრულების მხარე.
- **ფაქტორინგის ხელშეკრულება ფულადი მოთხოვნის დათმობის შესახებ** – ბანკსა და კლიენტის კრედიტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება (მისი ნებისმიერი დანართი, შეთანხმება) და ამ ხელშეკრულების ფარგლებში ბანკსა და კლიენტის კრედიტორს შორის ნებისმიერი ფორმით არსებული გარიგება რომლით დასტურდება კლიენტის კრედიტორის მიერ ბანკისათვის ფულადი მოთხოვნის დათმობა (გადაცემა).

2. ხელშეკრულები საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ბანკის მიერ კლიენტისთვის რევერსიული ფაქტორინგული ოპერაციით მომსახურება (შემდგომ ამ ხელშეკრულებაში მოხსენებული როგორც „ფაქტორინგი“ ან „რევერსიული ფაქტორინგი“) წინამდებარე ხელშეკრულებით (მათ შორის, მისი ნებისმიერი დანართის) განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად და კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

2.2. რევერსიული ფაქტორინგული ოპერაციის მომსახურების ფარგლებში, ბანკი კლიენტის თხოვნით ახდენს კლიენტის კრედიტორების დაფინანსებას, რაც გამოიხატება კლიენტის კრედიტორის მხრიდან ბანკისათვის კონტრაქტ(ებ)იდან გამომდინარე კლიენტის მიმართ არსებული ფულადი მოთხოვნის დათმობას (გადაცემას), ხოლო ბანკი ახდენს ამ ფულადი მოთხოვნის შესყიდვას, ამავე ხელშეკრულებითა და, ბანკსა და კლიენტის კრედიტორს შორის გაფორმებული ფულადი მოთხოვნის დათმობის შესახებ ფაქტორინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2.3. თავის მხრივ, კლიენტი იღებს ვალდებულებას რევერსიული ფაქტორინგული ოპერაციის მომსახურების ფარგლებში, კრედიტორის ნაცლად კონტრაქტ(ებ)იდან გამომდინარე ბანკისათვის დათმობილი (გადაცემული) ფულადი მოთხოვნა შეასრულოს ბანკის წინაშე, ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში და ბანკის მიერ დადგენილი ფულადი მოთხოვნის გადახდის ვადის გაგრძელების საკომისიოს გადახდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირობით, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3. რევერსული ფაქტორინგის ძირითადი წესები და პირობები

3.1.	ფაქტორინგის ლიმიტი:	XXX ლარი
3.2.	ფაქტორინგის ლიმიტის მოქმედების ვადა:	XX XXX
3.3.	კლიენტის კრედიტორი	XX XXX
3.4.	კონტრაქტი	1. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრული იქნება კლიენტის მიერ ბანკისათვის მიწოდების გზით, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. 2. კლიენტს და კლიენტის კრედიტორს შორის -------- გაფორმებული ---------- ხელშეკრულება
3.5.	ყოველი კონკრეტული ფულადი მოთხოვნის კლიენტის მიერ შესრულების მაქსიმალური ვადა	ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრული იქნება დანართი N1-ით.
3.6.	წინასწარი დაფინანსების ოდენობა	ფულადი მოთხოვნის --------%;
3.7.	ფულადი მოთხოვნის გადახდის ვადის გაგრძელების საკომისიოს გადახდის წესი	XX XXX
3.8.	ფულადი მოთხოვნის გადახდის ვადის გაგრძელების საკომისიოს ოდენობა	ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრული იქნება ბანკის მიერ კლიენტისთვის შესაბამის შეტყობინების მიწოდების გზით, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ან დანართი N1-ით.
3.9	სხვა საკომისოები	
3.10.	ფულადი მოთხოვნის გადახდის ვადის დარღვევის პირგასამტეხლო	ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის დარღვევისთვის განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა.
3.11.	წინაპირობები	
3.12.	ფინანსური შეზღუდვები	
3.13.	არაფინანსური შეზღუდვები	
3.14.	ფინანსური ან არაფინანსური შეზღუდვების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა	

4. რევერსიული ფაქტორინგული ოპერაციით მომსახურების პირობები

4.1. მხარეები ადასტურებენ, რომ გარიგება დადებულად ითვლება, მხარეთა მიერ გარიგების არსებითი პირობების შეთანხმების შემთხვევაში. გარიგების არსებითი პირობები შეთანხმებულად ითვლება დანართი N1-ის გაფორმებით.

4.2. გარიგების არსებითი პირობების შეთანხმება მხარეთა მიერ ხორციელდება შემდეგი წესის შესაბამისად:

4.2.1. გარიგების ინიცირება ხორციელდება კლიენტის მიერ (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის საშუალებით) ნების გამოხატვის გზით (შემდგომ „კლიენტის მომართვა“). კლიენტის მომართვაში ასახულ უნდა იქნას ფულადი მოთხოვნის თანხა და ყოველი კონკრეტული ფულადი მოთხოვნის

კლიენტის მიერ შესრულების მაქსიმალური ვადა (ბოლო ვადა). კლიენტი ასევე აწვდის ბანკს ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს დედანი ან სკანირებული ასლის სახით, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში შემდგომ დედნის წარმოდგენით.

4.2.2. ბანკის მიერ პირობების შეთავაზების შემდეგ, მხარეთა მიერ ხორციელდება გარიგების არსებითი პირობების შეთანხმება.

4.2.3. გარიგება დადებულად ითვლება და არსებითი პირობები - შეთანხმებულად, მხარეთა შორის დანართი N1-ის ხელმოწერისა და ბანკისთვის ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებული დოკუმენტების გადაცემის მომენტიდან (გარიგების დადების დღე).

4.3. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ გარდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა, გარიგება დადებულად ითვლება თუ ბანკსა და კლიენტის კრედიტორს შორის გაფორმდება ფაქტორინგის ხელშეკრულება ფულადი მოთხოვნის დათმობის შესახებ და კლიენტის კრედიტორი თანხმობას განუცხადებს ბანკს ფულადი მოთხოვნის გადაცემის (დათმობის) შესახებ.

4.4. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით და კლიენტის მიერ გარიგების ინიცირებით, კლიენტი აცხადებს თანხმობას ფულადი მოთხოვნის კლიენტის კრედიტორის მიერ ბანკისათვის გადაცემაზე (დათმობაზე), მიუხედავად იმისა თუ როგორი განსხვავებული პირობით რეგულირდება ამ პუნქტით განსაზღვრული საკითხი კონტრაქტის შესაბამისად.

4.5. მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტის მიერ გარიგების დადებით, კლიენტი აღიარებს კლიენტის კრედიტორის მიმართ არსებული ფულად ვალდებულებას სრულად (რომელიც არ ექვემდებარება რაიმე საფუძვლით შემცირებას, გაქვითვას ან რაიმე სახით მის შემცირებას) და იღებს ვალდებულებად ფულადი მოთხოვნა სრულად შეასრულოს/დაფაროს ბანკის წინაშე გარიგების არსებითი პირობების შესაბამისად.

4.6. მიუხედავად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა ბანკი უფლებამოსილია კლიენტისგან მოითხოვოს დამატებით ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი.

4.7. წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია განხორციელდება შემდეგი ელ. ფოსტის მისამართების საშუალებით: **კლიენტი** 0000000000; **ბანკი** **000000000**

4.8. კლიენტი ადასტურებს და აცნობიერებს, რომ ბანკის მიერ კონკრეტული გარიგების დადება წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, და ბანკი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთპიროვნულად მიიღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული გარიგების დადების ან არ დადების შესახებ.

4.9. გარიგების დადების დღიდან კლიენტი ვალდებულია:

4.9.1. კლიენტის კრედიტორის ნაცვლად, მხოლოდ ბანკის წინაშე სრულად შეასრულოს/დაფაროს ფულადი მოთხოვნა;

4.9.2. ფულადი მოთხოვნა შეასრულოს არაუგვიანეს ყოველი კონკრეტული ფულადი მოთხოვნის კლიენტის მიერ შესრულების მაქსიმალურ ვადაში;

4.9.3. სრულად გადაიხადოს ფულადი მოთხოვნის გადახდის ვადის გაგრძელების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფულადი მოთხოვნის დაფარვის დღეს;

4.9.4. სრულად გადაიხადოს პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფულადი მოთხოვნის დაფარვის ვადის დარღვევისათვის.

4.9.5. სრულად გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკომისიო გარიგების დადების დღეს.

4.10. კლიენტის მიერ ბანკისათვის გადასახდელი ნებისმიერი თანხები (მათ შორის პირგასამტეხლო) ჩამოიჭრება კლიენტის ნებისმიერი საბანკო ანგარიშიდან ვადამოსული ფულადი ვალდებულებების შესაბამისად უაქცეპტო წესით, კლიენტის წინასაწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე.

5. სხვა პირობები

5.1. ბანკი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული კლიენტის, როგორც ვადამოსული ასევე, დავალიანების თანხები, მათ შორის პირგასამტეხლო (თუ ასეთი არსებობს), ასევე თანხები რომელიც ამ ხელშეკრულების შესაბამისად ექვემდებარება გადახდას, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერი საბანკო ანგარიშიდან (მათ შორის ვადამოსული/დავალიანების/დაქვითვის თანხისაგან განსხვავებულ ვალუტაში არსებული საბანკო ანგარიშიდან). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება ვადამოსული/დავალიანების თანხის ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ხარჯზე მოახდინოს ერთ სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია გადახდის/ჩამოწერის დღისათვის ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად. საბანკო ანგარიშებზე არასაკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს კლიენტის ნებისმიერი და ყველა საბანკო ანგარიში (ანუ არ შეასრულოს კლიენტის გადარიცხვები) კლიენტის მიერ ბანკის მიმართ დავალიანების თანხის სრულად დაფარვამდე. კლიენტი სრულად და უპირობოდ ეთანხმება ამ პუნქტში მოცემულ ბანკის უფლებას თანხების უაქცეპტო ჩამოჭრასთან და ბლოკირებასთან დაკავშირებით.

5.2. კლიენტის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან;

5.3. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია:

5.3.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

5.3.2. ბანკის მიერ კლიენტის სამი დღით ადრე წერილობითი გაფრთხილების გზით. ამასთან, თუ ბანკის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს კლიენტის მიერ ამ ხელშეკრულებით/გარიგებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა, ბანკის მიერ კლიენტის გაფრთხილება ან დამატებითი ვადის დაწესება არ ხდება.

5.4. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება ბანკის მიერ კლიენტს შესაძლოა წარედგინოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტის მისამართების საშუალებით.

5.5. კლიენტი აცხადებს და იძლევა გარანტიას მასზე, რომ (ა) ფლობს სრულ უფლებამოსილებას დადოს ხელშეკრულება/გარიგება და აღნიშნულისათვის მოპოვებული აქვს საჭირო ნებართვა/თანხმობა, განხორციელებული აქვს კანონმდებლობით/მესამე პირთან დადებული შეთანხმებით/ან სხვა რაიმე დოკუმენტით განსაზღვრული საჭირო ქმედება; (ბ) ფლობს სრულ უფლებამოსილებას შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები; (გ) ხელშეკრულების/გარიგების დადება და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება არ ეწინააღმდეგება მის მიერ ხელშეკრულების/გარიგების დადებამდე გაფორმებულ რაიმე შეთანხმებას და არ წარმოადგენს მისი პირობის დარღვევას ან მის საფუძველზე გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობას, ისევე როგორც კანონმდებლობით ან სხვა რეგულაციის საწინააღმდეგო ქმედებას/მის დარღვევას, ან მის საფუძველზე გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობას.

5.6. კლიენტი ადასტურებს, რომ ხელშეკრულების 5.5. პუნქტით განსაზღვრული განცხადებები და გარანტიები ასევე მოქმედებს ხელშეკრულების ფარგლებში ყოველი გარიგების დადებისას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას. შესაბამისად, თუ კლიენტის მიერ ბანკისათვის არ იქნა წარდგენილი ინფორმაცია, აღნიშნული გარანტიის/განცხადების გაქარწყლების/არ არსებობის/ძალის დაკარგვის/ცვლილების შესახებ, ბანკის და კლიენტის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ჩაითვლება, ხელშეკრულების 5.5. პუნქტით გათვალისწინებული განცხადებებით და გარანტიებით განსაზღვრული გარემოებების არსებობის საფუძველზე განხორციელებულად. კლიენტი ვალდებულია, ხელშეკრულების 5.5. პუნქტით განსაზღვრული გარანტიის/განცხადების გაქარწყლების/არ არსებობის/ძალის დაკარგვის/ცვლილების შესახებ, ბანკს აცნობოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ელექტრონული ფოსტის მისამართების საშუალებით.

5.7. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, კონსულტანტს, მრჩეველს, იურიდიულ ფირმას რომელიც ბანს უწევს პროფესიულ მომსახურებას

ან/და ბანკის მიერ შერჩეულ მხოლოდ იმ მესამე პირს, რომელთანაც ბანკს გაფორმებული ექნება ხელშეკრულება კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.

6. საბოლოო პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

6.2. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6.3. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან, ხელშეკრულების ფარგლებში დადებული გარიგებიდან, დაკავშირებული მის გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), განსახილველად და საბოლოო გადასაწყვეტად გადაეცემა თბილისი საქალაქო სასამართლოს.

6.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით.

6.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაც თითო გადაეცემა მხარეებს.

7. მხარეთა რეკვიზიტები

<u>ბანკი</u>	<u>კლიენტი</u>
სს „ბანკი ქართუ" საიდენტიფიკაციო ნომერი: 204891652 მისამართი: საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ N39ა ტელეფონი: ელ. ფოსტა:	***დასახელება*** საიდენტიფიკაციო ნომერი: ---------- მისამართი: ---------- ტელეფონი: ელ. ფოსტა: ანგარიშის ნომერი: --------
---------- დირექტორი სახელი გვარი (პ,ნ: ----------)	თანამდებობა სახელი გვარი (პ/ნ: ----------)

დანართი N1

N	კლიენტის კრედიტორის საფირმო სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით	ფულადი მოთხოვნის ოდენობა ლარში, რომლის შეძენასაც ახდენს ბანკი	დაფინანსების ოდენობა ლარში	ფულადი მოთხოვნის გადახდის ვადის გაგრძელების საკომისიოს ოდენობა	ფულადი მოთხოვნის კლიენტის მიერ შესრულების მაქსიმალური ვადა	ფულად მოთხოვნასთან დაკავშირებული დოკუმენტების(კონტარქტი, ინვოისები და სხვა.)	მიწოდების თარიღი
1			------- ლარი		---------- ან შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან ---- კალენდარული დღე;	კონტრატქი N------ ----გაფორმების თარიღი dd/mm/yy, სხვა სავალდებულო დოკუმენტები: ---------- ----------;	კონტრაქტის შესაბამისად.

202-- წლის ---- ------ს გაფორმებული რევერსიული ფაქტორინგის გენერალურ ხელშეკრულებაზე

ბანკი	კლიენტი
სს „ბანკი ქართუ“	**********
ს/ნ 204891652	ს/ნ *****